community

The New Apostolic Church around the world

02/2015/GE

სამხ. მოციქულთა კრება ციურიხში
გულით, სულითა და გონებით

ვითხოვოთ იესოს სახელით -
ღვთისმსახურება დოდომაში

New Apostolic Church
International

სიხარული ქრისტეში

საერთაშორისო ახ.ს.ევ.

ჩემო საყვარელო და-ძმანო მთელ მსოფლიოში,

2015 წლის რამოდენიმე თვეც გავიდა. ამ თვეებმა ბედნიერება და უბედურება, ტანჯვა და გლოვა, სიხარული და იმედი მოიტანეს. როცა წლის დასაწყისში დევიზი „ქრისტეში სიხარული“ გამოვაქვეყნე, არ მქონდა გაცნობიერებული, თუ რამდენად მრავალმხრივია ეს სიტყვა. ზოგიერთებმა ალბათ ამ დროს ამქვეყნიურ ბედნიერებაზე გაიფიქრეს. მერე და, ვის არ უხარია ეს მთელი გულით? მაგრამ ამ დევიზში უფრო მეტი რამ შეიძლება მოვიაზროთ: სიხარული ღვთისმსახურებაზე, სიხარული ცოდვათა მიტევების გამო, სიხარული წმიდა ზიარებაში. განა ყველა ჩვენთაგანს არ განუცდია თანაზიარებით, ერთმანეთთან ყოფნით, ნუგეშითა და თანადგომით გამოწვეული მშვენიერი წუთები? დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი წლევანდელი დევიზი გააგრძელებს სიცოცხლეს. ის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ წინადადება. მინდა სიამოვნებით გაგიზიაროთ რამოდენიმე აზრი, რომლებიც ჩვენს წლევანდელ დევიზს - „ქრისტეში სიხარულს“ - ეფუძნება:

- ჩვენს გულს შეუძლია გაიხაროს იმით, რომ ღვთის შვილთა ასეთი მშვენიერი თანაზიარება გვაქვს ირგვლივ. ჩვენ ერთი ეკლესიის ნაწილი ვართ - ღმერთი არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მარტო ვიაროთ რწმენის გზაზე;

- უფალ იესოს ვუყვარვართ და ის ჩვენთვის მოკვდა. მოგვიტევებენ რა ცოდვებს, უფალი თავის სუფრასთან გვიხმობს, რათა მასთან თანაზიარებაში შევიდეთ. ყოველ ღვთისმსახურებაზე შევიგრძნობთ მას! ის ჩვენს შორის შემოდის.

- უფალს სურს, რომ მეორედ მოვიდეს. მან აღგვითქვა ეს და სინამდვილედ აქცევს იგი ამ აღთქმას. და საერთოდ, განა ეს ყველაზე დიდი სიხარული არ არის ჩვენთვის? ის მოვა, რომ თავისი სასძლო შინ წაიყვანოს. ჩვენ კი მისი მოლოდინის უფლება გვაქვს.

თქვენ თვითონ თქვით: განა ეს საოცრება არ არის?

მოდით, ერთად გავიხაროთ ამით. მახსენედება ეს სიტყვა 102, 2-ე ფსალმუნიდან: „ნუ დაივიწყებ მის ქველმოქმედებას!“

გისურვებთ, რომ სიხარული გდევდეთ თან.

თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

ვითხოვოთ იესოს სახელით

ფოტო: აღმ. აფრიკის ახ.ს

19 აპრილს, დოდომაში (ტანზანია), ღვთისმსახურების დაწყების წინ, ბავშვები პირველმოციქულ შნაიდერასა და მოციქულებს ესალმებიან

იოან. 14, 14

„თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ.“

საყვარელო და-ძმანო, ძვირფასო სტუმრებო, დღევანდელი კვირა დღე განსაკუთრებულია ღვთის საქმისათვის აქ, აღმოსავლეთ აფრიკაში. ყველა აფრიკელი სამხ. მოციქული აქ არის, რამეთუ თქვენი სამხ. მოციქული დღეს დამსახურებულ პენსიაში გადის და მისი საქმის გამგრძელებელი დაინიშნება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მნიშვნელოვანი დღე იქნება აღმოსავლეთ აფრიკის ეკლესიის ისტორიაში. მაგრამ ნუ იდარდებთ, მხოლოდ და მხოლოდ ახალი მსახური ინიშნება, მოძღვარი კი რჩება. ჩვენ ყველანი, იქნებიან ეს პირველმოციქული, სამხ. მოციქულები თუ მოციქულები, მხოლოდ უფლის მსახურნი ვართ. მოძღვარი, უფალი, ის არის, ჩვენ კი მისი მსახურნი ვართ. ახალი სამხ. მოციქულიც უფლის მსახურია, როგორც მისი წინამორბედი.

უფლისათვის საუკუნო სიცოცხლე ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ყოველივე ამქვეყნიური. ამდენად, უაზრობაა, ვთხოვოთ მას, რომ პრიორიტეტები შეცვალოს.

ბიბლიური ციტატა, რომელიც წაგიკითხეთ, შესანიშნავ აღთქმას შეიცავს. იესო ამბობს: „თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ.“ წარმოიდგინეთ, აბა, რამდენი სურვილი აქვს ადამიანს. არაჩვეულებრივი იქნებოდა, რომ იესოსათვის მხოლოდ გვეთხოვნა და ის კი ყველაფერს შეგვისრულებდა. მაგრამ ამ აღთქმას მან რამოდენიმე პირობაც დაურთო თან. უპ. ყოვლისა, უნდა გვწამდეს მისი: უნდა გვწამდეს, რომ ის ღვთის ძეა, და არა რომელიმე სასწაულმოქმედი ან დიდი წინასწარმეტყველი, რომელიც სასიამოვნო ისტორიებს ჰყვება, ანდა ისეთი ვინმე, ვინც პრობლემების გადაჭრაში გვეხმარება. უნდა ვიწამოთ, რომ ის ღვთის ძეა, რომელიც დედამიწაზე მოვიდა, რათა, როგორც მხსნელს, ადამიანებისათვის ხსნა და საუკუნო სიცოცხლე მოეტანა.

მეორე პირობა ის არის, რომ მისი სახელით ვთხოვოთ მას, ე. ი., ისე ვთხოვოთ, თითქოს ჩვენს ადგილზე იყოს იგი და ისე ითხოვდეს ჩვენთვის. თუ გვინდა, რომ ჩვენს ლოცვებზე პასუხი მივიღოთ, ისე უნდა ვილოცოთ, როგორც თავად იესოს შეეძლო ელოცა. მისი სახელით ვთხოვოთ მას, ნიშნავს იმას, თითქოს იესო თვითონ გამოხატავდეს ამ თხოვნას. ყოველთვის, როცა ადამიანები იესოსთან თხოვნებით მიდიოდნენ და ცხადი ხდებოდა, რომ მათ არასაკმრისი რწმენა ჰქონდათ ან მიუღებელი იყო უფლისათვის ეს თხოვნა, მაშინ უარს ამბობდა იგი მის შესრულებაზე. ერთხელ ფარისევლები მივიდნენ იესოსთან და ნიშანი მოსთხოვეს: „მოძღვარო, გვინდა ნიშანი ვიხილოთ შენგან.“ მან პასუხად მიუგო: „ბოროტი და მრუში მოდგმა ეძებს ნიშანს, მაგრამ ნიშანი არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის ნიშნისა. ვინაიდან, როგორც იონა იყო დიდი თევზის მუცელში სამ დღესა და სამ ღამეს, ასევე კაცის ძე იქნება სამ დღესა და სამ ღამეს მიწის გულში“ (მათ. 12, 39-40). ეს იყო მკაფიო პასუხი. გწამდეთ აღდგომის, სხვა ნიშანი არ იქნება.

საყვარელო და-ძმანო, უნდა გვწამდეს ღვთის ძისა. უნდა გვწამდეს ჩვენი მხსნელისა, უნდა გვწამდეს, რომ მან ჩვენთვის გაიღო სიცოცხლე. ეს ჩვენდამი მისი სიყვარულის დადასტურებაა. ვერ მივმართავთ ღმერთს ყოველ დილით ამ თხოვნით: „აჰ, მოგვეც ნიშანი, რათა მივხვდეთ, თუ რამდენად დიდია შენი სიყვარული ჩვენდამი.“ არ გამოვა. უკვე დიდი ხანია, რაც იესომ თავისი სიყვარული დაგვიმტკიცა: ის ჩვენთვის მოკვდა. იესოს ვერც ამას მოვთხოვთ: „აჰ, მოგვეც ნიშანი, რათა ნათლად

მოციქულები და ეპისკოპოსები საკურთხეველთან

დავინახოთ, რომ შენი საქმე ნამდვილად ხსნის საქმეა.“ წარმოიდგინეთ, რომ აქ, დოდომაში, ღმერთს რაიმე დიდებული გაეკეთებინა იმის დასადასტურებლად, რომ ესენი ჩემი შვილები არიანო და რომ ეს ღვთის საქმეაო. მაგრამ ის ამას არ გააკეთებს. ის ამბობს: „ჩემი შვილები არიან იმის დადასტურება, რომ ეს ღვთის საქმეა, ვინაიდან ისინი ახალ ქმნილებად ყალიბდებიან.“ ადგილი აქვს აღდგომის ერთგვარ პროცესს. ძველი ადამი კვდება, ახალი ქმნილება კი ვითარდება და სულ უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება. ჩვენ გვწამს ღვთის საქმისა, რამეთუ ვხედავთ, თუ როგორ ვითარდება ახალი ქმნილება.

> როცა უფალს მტკიცე რწმენას შევთხოვთ, ის გვიბოძებს მას, ვინაიდან ზუსტად იგივეზე ლოცულობს იგი ჩემთვის და შენთვის.

იესომ ბევრი მაგალითი მოიყვანა. მათ შორის იყო იგავი მიბარებულ მნეებზე. ერთი დიდგვაროვანი კაცი შორეულ ქვეყანაში მიდიოდა, დაუძახა ათ მონას და მისცა თვითეულს ერთი მნა ასეთი პირობით: „ვიდრე დავბრუნდებოდე, ივაჭრეთო“ (ლუკ. 19, 13). როცა ეს კაცი უკან დაბრუნდა, ანგარიში მოითხოვა. ერთი მონა, რომელმაც მიბარებული მნა მხოლოდ შეინახა, შეეცადა არგუმენტებით აეხსნა თვისი საქციელი და უთხრა: „შემეშინდა, რადგან სასტიკი ხარ“; მაგრამ იესომ გარკვევით თქვა, რომ ეს დავალება იყო და უნდა შესრულებულიყო. მას უბრალოდ მორჩილება უნდა გამოეჩინა. ამით იესო გვეუბნება: „მე ღვთის ძე ვარ. ამიტომაც ჩემი სიტყვები არ გადავლენ.“

ბევრი ადამიანი ალბთ შეეხვეწებოდა იესოს: „ხომ ვერ შეცვლი შენს სახარებას? მასთან დაკავშირებით მე ჩემი ეჭვები მაქვს. მაშ, მოარგე ის დღევანდელობას, ჩვენს ქვეყანაში არსებულ პირობებს.“ მაგრამ იესო ამას არ გააკეთებს. ვისაც სწამს, რომ ის ღვთის ძეა, იცის, რომ მისი ნათქვამი საუკუნოდ ძალაშია. ჩვენს გამო ის არ შეცვლის

ზემოთ მარცხნივ: სამხ. მოციქული შადრეკ ლუბაზი საკურთხეველთან ღვთისმსახურების დროს

სახარებას. ეს არც უნდა ვთხოვოთ.

კიდევ არის რაღაც, რისი იესოსთვის თხოვნაც არ შეგვიძლია, რადგან ის მის აზრებთან თანხმობაში არ მოდის: ვერ ვთხოვთ მას, რომ დასაჯოს ცოდვილი. მოწაფეებმა ერთხელ სცადეს ეს: „უფალო, თუ გინდა, ვიტყვით, რომ ცეცხლი ჩამოვიდეს ციდან და მოსპოს ისინი“ (ლუკ. 9, 54). იესომ გაკიცხა მოწაფეები ამის გამო. სხვებმა კიდევ ერთი ქალი მიუყვანეს: „ეს ქალი მრუშობაზეა წასწრებული. ის უნდა დაისაჯოს“ (იოან. 8, 4). იესომ უარი თქვა, ვინაიდან ეს აზრები არ ეთანხმებოდა მის აზრებს. იესო მხსნელია. მას ცოდვილების გადარჩენა სურს და არა დასჯა.

არაფერში გამოგვადგება იესოსათვის იმის თხოვნაც, რომ გაყოფილი ან მერყევი გული აკურთხოს. ის ღვთის ძეა და მას უნდა, რომ მთელი გული ეკუთვნოდეს. მთაზე ქადაგებაში იესომ განმარტა, რომ ბოლოს ბევრი მიადგება ცათა სასუფევლის კარებს შიგ შეშვების თხოვნით: „ბევრი მეტყვის იმ დღეს: ‘უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?’ მაშინ მე განვუცხადებ მათ: ‘მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო“ (მათ. 7, 21-23). მან იცოდა, რომ მათი გული გაყოფილი იყო, თუმცა მისი სახელით დიდი საქმეებიც ჰქონდათ გაკეთებული. თუ გაყოფილი გვაქვს გული ან არ ვართ მორჩილნი, ვერ ვთხოვთ იესოს კურთხევას. იცით რა, თუ პრობლემა გვექნება, შეგვიძლია იესოს ვთხოვოთ დახმარება. მაგრამ პრობლემას ვერ გადავჭრით, თუ თავს მოვიტყუებით, რომ ეს პრობლემა არ არსებობს. ეს არ გამოვა. უფალი ვერ აკურთხებს ამას. პრინციპში ასე ჩვენ მისგან იმას მოვითხოვთ, რომ ჩვენი დაუმორჩილებლობა აკურთხოს. ჩვენ არ დავიცავით აღთქმა, მაგრამ იმის მოლოდინი გვაქვს, რომ უფალი დაგვეხმარება და გვაკურთხებს. ასე არ შეიძლება..

ბოლო მაგალითი. როცა იესო მარიამთან და მართასთან იყო, მარიამი მის ფეხებთან იჯდა და უსმენდა. მართა კი ძალიან დაკავებული იყო. მან უფალს ჰკითხა: „უფალო, არ განაღვლებს, რომ ჩემმა დამ მარტოდ დამტოვა სამასპინძლოდ? უთხარი, მომეხმაროს.“ მან კი ასე უპასუხა: „მარიამმა უკეთესი წილი ამოირჩია“ (ლუკ. 10, 40, 43). არ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ იესო ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს, ვიდრე საუკუნო სიცოცხლეს. უფლისათვის საუკუნო სიცოცხლე ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ყოველივე ამქვეყნიური. მაშასადამე, აზრი არა აქვს მისთვის იმის თხოვნას, რომ პრიორიტეტები შეცვალოს. ის ამას არ გააკეთებს. როგორც ხედავთ, არის ისეთი რაღაცეებიც, რისი თხოვნაც იესოსათვის უაზრობაა. ის ვერ შეცვლის მათ, ჩვენი მხრიდან ეს რწმენის არქონაზე მოწმობს და მის ნებას არ შეესატყვისება. მას კი სურს, რომ გვწამდეს.

> ვისურვებდი, რომ თვითეულ თემში ყველამ ასე ილოცოს: „მამაო, დაე, ერთნი ვიყოთ, რაც არ უნდა მოხდეს.“

მაშ, რისი თხოვნა შეგვიძლია მისთვის? ეს ძალიან მარტივია. ჩვენ მას ის უნდა ვთხოვოთ, რაც მამას სთხოვა მან. იესომ სიმონ-პეტრეს უთხრა: „მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა“ (ლუკ. 22, 32). ე. ი. უფალს შეგვიძლია ვთხოვოთ, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, „არ დაილიოს“ ჩვენი რწმენა; და რომ მისი ნიშნების გარეშე და მხოლოდ მისი სიტყვით გვწამდეს. ეს რწმენას აძლიერებს. თუ უფალს ძლიერ რწმენას ვთხოვთ, ის გვიბოძებს მას, ვინაიდან სწორედ ამაზე ლოცულობს იგი ჩემთვის და შენთვის.

იესოს სახელით ასე შეგვიძლია ვილოცოთ: „უფალო, დაე, იყოს ნება შენი.“ ვიცი, რომ ეს ადვილი არ არის, რადგან ზოგჯერ მცდარი წარმოდგენა გვაქვს ღვთის ნებაზე. ჩვენ გვგონია, რომ ღვთის ნება ჩვენი ტანჯვა, ავადმყოფობა და სიკვდილია. ეს არ არის სწორი. ღმერთს არ სურს, რომ დავიტანჯოთ, უსამართლობის მსხვერპლი გავხდეთ. ღმერთს სურს, რომ ტანჯვაშიც მისი ერთგულნი ვიყოთ

იესომ ზუსტად იცოდა, რა იყო მამამისის ნება: „ეს გზა უნდა გავიარო, მაგრამ ღმერთს სურს, რომ ბოლომდე მისი ერთგული დავრჩე.“ ეს იყო მისი მამის ნება. როცა იესო ამბობდა: „იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი“, ზუსტად იცოდა; „მამაჩემს არ სურს, რომ დავიტანჯო. მას მხოლოდ ის უნდა, რომ ბოლომდე მისი მორჩილი დავრჩე. ეს არის მისი ნება და ის უნდა აღსრულდეს.“ და როცა ჩვენც იგივეს ვლოცულობთ: „მამაო, იყო ნება შენი“, ეს იმას

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი იოსებ ეხკუიას სამხ. მოციქულად ნიშნავს; უკანა პლანზე: სამხ. მოციქული პატრიკ მქვანაზი (სამხ-აღმ. აფრიკა) და სამხ. მოციქული მიხაელ დეპნერი (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა)

მადლობის გადახდა პენსიაში მიმავალი სამხ. მოციქულისათვის; მარცხნიდან მარჯვნივ: სამხ. მოციქული ნოელ ბარნესი (კეიპტაუნი), სამხ. მოციქული პენსიაში შადრექ ლუბაზი (აღმ. აფრიკა), პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი

ნიშნავს, რომ გადავწყვიტე, დავრჩე მისი ერთგული, რაც არ უნდა მოხდეს. აი, მაშინ იესო დაგვეხმარება. იესოს სახელით რაღაცის თხოვნა, მისთვის წყალობის თხოვნასაც ნიშნავს, კერძოდ ისე, როგორც ის ამას ჩვენგან მოელის. მან გარკვევით მიუთითა იმაზე, თუ რა არის აუცილებელი წყალობის მისაღწევად: თავმდაბლობა, მონანიება და მოყვასისასთვის მიტევება. ეს არის ქრისტეს სახარება, და თუ დავიცავთ მას და შემდეგ წყალობას შევთხოვთ მას, ის გამოიჩენს ამ წყალობას.

იოანე მოციქულმა ისიც კი თქვა, რომ იესო ჩვენ გვშუამდგომლობს ზეცაში და მამას ჩვენს მიტევებას სთხოვს: „ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე მართალი იესო ქრისტე“ (1. იოან. 2, 1). ის ზეცაშია და ჩვენ გვშუამდგომლობს. ე. ი., თუ თავმდაბლად, სინანულითა და მიმტევებლურად შევთხოვთ მას წყალობას, ის მოგვანიჭებს მას. ისიც ითხოვს წყალობას ჩვენთვის.

და კიდევ, როცა იესო ლოცულობდა, მამას მისი მოციქულებისა და ყველა იმათგანის ერთობა შესთხოვა, რომლებმაც მოციქულთა მეშვეობით იწამეს მისი. ამდენად, მან ჩვენთვისაც ილოცა. ჩვენ ვართ ისინი, ვინც მოციქულთა წყალობით იწამა იესო ქრისტე. ის თავისი ხალხის ერთობისთვისაც ლოცულობს. ვისურვებდი, რომ თვითეულ თემში ყველამ ასე ილოცოს: „მამაო, დაე, ერთნი ვიყოთ, რაც არ უნდა მოხდეს.“ თუ სერიოზულად ვილოცებთ თემში ერთიანობისათვის, იესო გვიწყალობებს მას, ვინაიდან ისიც ზუსტად იგივეზე ლოცულობს.

თუ შევთხოვთ მას: „შეამოკლე დრო და მოდი მალე“, ის შეგვისრულებს ამ თხოვნას, რადგან ისიც ზუსტად იგივეზე ლოცულობს.

როგორც ხედავთ, ამ ხუთ პუნქტში ყოველთვის იესოს სახელით ვლოცულობთ. ის გვიპასუხებს ლოცვაზე. ის შეასრულებს მას. თუ შევთხოვთ მას, რომ განამტკიცოს ჩვენი რწმენა, ის ამას გააკეთებს. თუ შევთხოვთ მას, რომ მორჩილნი და ერთგულნი დავრჩეთ, რაც არ უნდა მოხდეს, ის ამას გააკეთებს. თუ წყალობას შევთხოვთ მას, ის მოგვანიჭებს მას. მაგრამ ჩვენ მისი სახელით უნდა ვითხოვოთ წყალობა ანუ მისი პირობები დავიცვათ..

თუ ერთობას ვთხოვთ მას, რადგან ამისკენ ვილტვით, ის გვიბოძებს მას, ვინაიდან თავადაც ილტვის ამისკენ. თუ დროის შემოკლებას შევთხოვთ მას: „უფალო, მალე მოდი!“, ის მოვა. მასაც სურს ეს.

ძირითადი აზრები

იესო შეისმენს იმ თხოვნებს, რომლებსაც ეთანხმება.

ჩვენი ლოცვები იესო ქრისტეს მიმართ რწმენაზე უნდა იყოს დაფუძნებული და უფლის ნებას შეესატყვისებოდეს. ღმერთი შეისმენს იმ მლოცველისას, რომელიც მტკიცე რწმენისკენ, განსაცდელში შეუპოვრობისკენ, წყალობისკენ, ერთობისა და პირველი აღდგომისკენ ისწრაფვის.

იმისათვის, რომ ჩვენი თხოვნები შეწყნარებულ იქნას, ისინი იესო ქრისტეს მიმართ რწმენაზე უნდა იყოს დაფუძნებული და მისი სახელით წარმოთქმული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი უფლის ნებასთან თანხვედრაში უნდა მოდიოდეს.

სტუმრად მარტინასთან სანტიაგო დე ჩილ

ფოტოები: კერძო

მე მქვია მარტინა. დავიბადე არგენტინაში, მაგრამ 20 დღის რომ გავხდი, ჩილეში გადმოვედით. ახლა 11 წლის ვარ და სანტიაგო დე ჩილეში ვცხოვრობ, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში.

ჩემი ოჯახის წევრები არიან დედაჩემი ეველინა, მამაჩემი კარლოსი და ჩემი და ლუსიანა.

ჩვენი ძაღლი ლეონიც, რაც ესპანურად ლომს ნიშნავს, ჩვენი ოჯახის წევრია. თავისუფალ დროს მუსიკის მოსმენა მიყვარს. თან საცეკვაო ილეთებს ვიგონებ და სხვადასხვ კაბებს ვიზომავ.

მე და ლუსიანა ერთსა და იმავე სკოლაში დავდივართ, ლუსიანა მესამე კლასშია, მე - მეხუთეში. ეს სურათი სკოლის ეზოშია გადაღებული. მაშინ ტრადიციული ცეკვების კონცერტში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა.

ჩვენ ჩილეს ცენტრალურ ეკლესიაში დავდივართ. ის ას წელზე მეტია, რაც აშენდა, ხოლო ცოტა ხნის წინ

რესტავრაცია ჩაუტარდა.

ჩვენს თემს მარინი ჰქვია. მამაჩემი იქ მღვდლად მსახურობს, ლუსიანა საკვირაო სკოლაში დადის, მე კი რელიგიის გაკვეთილებს ვესწრები, რომელსაც ბებიაჩემი მილი ატარებს.

დედაჩემი რელიგიის გაკვეთილების ჩატარებაში ეხმარება ბებოს, მე კი მას ეკლესიის ყვავილებით მორთვაში ვეხმარები. მომწონს, როცა საკურთხეველს ყვავილებით ვამშვენებთ. კვირაობით, ღვთისმსახურების შემდეგ, მთელ დღეს ბებიასთან და პაპასთან, დეიდებთან და ბიძებთან და მათ

ეში (ჩილე)

შვილებთან ერთად ვატარებთ.

ოჯახთან ერთად ვზეიმობთ აგრეთვე თავისუფლების დღეს. აქ მე და ლუსიანა ვართ მთავრობის სასახლის წინ სახელმწიფო დროშასთან. 18-დან 21 სექტემბრამდე ჩილეში ზეიმია თამაშებით, ცეკვებითა და ბევრი საჭმელით.

ჩილეს ტიპიური კერძია „პასტელ დე ჩოკლო“, ღვეზელი. ეს ჩემი საყვარელი კერძიც არის. ის გატარებული ქათმის ხორცით, ზეთისხილით, მაგრად მოხარშული კვერცხითა და გახეხილი სიმინდით მზადდება. ზემოდან ცოტა შაქარს აყრიან, რომ გამოცხობისას დაიბრაწოს. როცა ჩემი მშობლები ამ ღვეზელს აცხობენ, ის განსაკუთრებით გემრიელია ...

საფოსტო ყუთი

ზოგჯერ სხვა ადამიანი ისე გაგიცრუებს იმედს, რომ მასთან დაშორებას ამჯობინებ. გვიამბეთ ამის შესახებ თქვენი გამოცდილებიდან.

„ჰა, ჰა, რა სასაცილოა!' - ‚რაზე ლაპარაკობდით ახლა?' - გოგონა გარიყულად გრძნობს თავს და სოფიასთან გარბის, თავის საუკეთესო მეგობართან, რადგან ის ასეთ რამეს არასოდეს ჩაიდენდა. ‚ჩქარა სოფიასთან! სლუკუნი!“
კოსიმა, 10 წლის, ლაიფციგიდან

„დედამ სავაჭრო ცენტრში წამიყვანა, ჩემთვის ჩანთის ყიდვა უნდოდა. მაგრამ, როცა მივედით, ვნახეთ, რომ ყველა ჩანთა ძალიან ძვირი იყო. გული დამწყდა და იმედი გამიცრუვდა! მაგრამ მერე სურნელოვანი ფლომასტერების ყიდვის უფლება მომცეს და ისევ ბედნიერი ვიყავი.“
ერინი, 9 წლის, პერთიდან (ავსტრალია)

„ერთ-ერთი მეგობარი შემპირდა, რომ იმ ნივთს მაჩუქებდა, რაც ძალიან მომწონდა. მაგრამ აღარ მოუცია. ისეთი გაბრაზებული ვიყავი, რომ მისი დანახვაც არ მინდოდა. მაგრამ მერე ღვთისმსახურებაზე მოვისმინე და მივხვდი, რომ ღმერთს არ უნდა, ასე რომ ვიქცეოდე.“
ლუკ-ოლივერი, 12 წლის, პორტო-ნოვოდან (ბენინი)

ფოტო: საერთაშორისო ახ. ს. ე.

2015 წლის სექტემბერში გამოვა „ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ წიგნის სახით. საერთო ჯამში 750 კითხვისა და პასუხისაგან „კომიუნიტი“ შერჩევით წარმოგვიდგენს რამოდენიმე კითხვასა და პასუხს - ამ გამოცემაში საუბარია მრწამსსა და სამერთ ღმერთზე.

რა არის მრწამსი?
მრწამსი სარწმუნოებრივი მოძღვრების ძირითადი შინაარსების შეჯამებას წარმოადგენს. მრწამსი შეიცავს იმას, რასაც მოცემული კონფესიის წევრები აღიარებენ. ამასთანავე, სწორედ მრწამსით განსხვავდება ერთი კონფესია მეორისგან.

როგორ გაჩნდა პირველი ქრისტიანული მრწამსი?
პირველ ქრისტიანულ მრწამსებს „ძველი საეკლესიო მრწამსები“ უწოდეს. ისინი ჩვ. წ. აღ-ით მეორე და მეოთხე საუკუნეებს შორის წარმოიშვნენ. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მოძღვრებანი ღმერთის სამერთობასა და იესო ქრისტეს არსის ანუ მისი ბუნების შესახებ. ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან სარწმუნოებრივ შინაარსებთან დაკავშირებით კამათი მიმდინარეობდა. მაგ., არსებობდა შეხედულება, რომ იესო ქრისტე სინამდვილეში არ მომკვდარა ჯვარზე და, რომ ის არც მკვდრეთით აღმდგარა ნამდვილად. მრწამსის მეშვეობით ადამიანი ემიჯნებოდა ამგვარ ცრუმოძღვრებებს.

რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ძველი საეკლესიო მრწამსი?
ორ ყველაზე მნიშვნელოვან ძველ საეკლესიო მრწამსს სამოციქულო მრწამსი („აპოსტოლიკუმი“) და ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი წარმოადგენს. აპოსტოლიკუმი მისი ძირითადი ნიშნებით მეორე საუკუნეში იქნა შედგენილი, მეოთხე საუკუნეში კი ცოტაოდენი დამატებებით შეივსო. ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი ნიკეისა (ჩვ. წ. აღ-ით 325 წ.) და კონსტანტინოპოლის (ჩვ. წ. აღ-ით 381 წ.) საეკლესიო კრებების შედეგად ჩამოყალიბდა. ამ მრწამსში, უპ. ყოვლისა, სამერთი ღმერთის აღიარებაა დაფიქსირებული.

საეკლესიო კრება მაღალი სასულიერო ღირსი მამების კრებაა, რომლებიც რწმენის მნიშვნელოვან საკითხებზე სათათბიროდ იკრიბებიან.

რა მნიშვნელობა აქვს ძველ საეკლესიო მრწამსებს ახალსამოციქულო ეკლესიისათვის?
ახალსამოციქულო ეკლესიის მოძღვრება წმიდა წერილს ეფუძნება. ძველ საეკლესიო მრწამსებში ის მთავარი შინაარსებია შეჯამებული, რომლებზეც წმიდა წერილი მოწმობს. ახალსამოციქულო ეკლესია აღიარებს ორივე ძველ საეკლესიო მრწამსში ფორმულირებულ რწმენას სამერთი ღმერთის, იესო ქრისტეს - როგორც ჭეშმარიტი ღმერთისა და ჭეშმარიტი კაცის - მიმართ რწმენას, იესოს შობას ქალწულ მარიამისაგან, სულიწმიდის მოვლინების რწმენას, ეკლესიის, საიდუმლოების, ქრისტერს მეორედ მოსვლისა და მკვდართა აღდგომის რწმენას.

მიუხედავად ცალკეულ კონფესიებს შორის არსებული განსხვავებებისა, ამ მრწამსებში მოცემულია ერთი ელემენტი, რომელიც ქრისტიანებს ერთმანეთთან აკავშირებს.

„კონფესია“ (სიტყვა-სიტყვით „აღმსარებლობა“) „მრწამსს, ეკლესიისადმი კუთვნილებას“ ნიშნავს. „კონფესიას“ უწოდებენ აგრეთვე სხვადასხვა ქრისტიანულ ერთობებს.

როგორ ჟღერს ახალსამოციქულო ეკლესიის მრწამსი?
„მე მწამს ღმერთი, მამა, ყოვლის მპყრობელი, შემოქმედი ცისა და მიწისა. მე მწამს იესო ქრისტე, მხოლოდშობილი ძე ღმრთისა, უფალი ჩვენი, ჩასახული სულიწმიდის მიერ, შობილი ქალწული მარიამისაგან, წამებული პონტოელი პილატესაგან, ჯვარცმული, მოკვდინებული, დამარხული, ქვესკნელში ჩასული, მესამე დღეს მკვდრეთით აღმდგარი, ზეცად ამაღლებული, მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, და კვლავაც იქიდან მოვა. მე მწამს სულიწმიდა, ერთი, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესია, წმიდათა ერთობა, ცოდვათა მიტევება, მკვდრეთით აღდგომა და საუკუნო სიცოცხლე.

მე მწამს, რომ უფალი იესო განაგებს თავის ეკლესიას და ამ მიზნით მოციქულები მოავლინა მან და კვლავაც მოავლენს მის მეორედ მოსვლამდე იმ მისიით, რომ ასწავლონ, მისი სახელით ცოდვები შეუნდონ და წყლითა და სულიწმიდით მონათლონ.

მე მწამს, რომ ღვთისგან რჩეულთ სასულიერო წოდებისათვის მხოლოდ მოციქულები აკურთხებენ ხელდასხმით და, რომ უფლებამოსილება, კურთხევა და მსახურებისათვის განწმედა მოციქულობიდან გამომდინარეობს.

მე მწამს, რომ წყლით წმიდა ნათლობა პირველი ნაბიჯია ადამიანის განახლებისკენ სულიწმიდაში და, რომ შედეგად მონათლული იმ ერთობის წევრი ხდება, სადაც იესო ქრისტე სწამთ და უფლად აღიარებენ მას.

მე მწამს, რომ წმიდა ზიარება იესო ქრისტეს მიერ ერთხელ და საუკუნოდ გაღებული მსხვერპლის, მისი ტანჯვისა და სიკვდილის მოსაგონებლად თავად უფალმა დააწესა. წმიდა ზიარების ღირსეულად მიღება იესო ქრისტესთან, ჩვენს უფალთან, თანაზიარების საწინდარია. ის უფუარი პურითა და ღვინით ტარდება; პურიც და ღვინოც მოციქულის მიერ უფლებამოსილმა მღვდელმსახურმა უნდა გაანაწილოს და აკურთხოს.

მე მწამს, რომ მოციქულის მიერ წყლით მონათლულები სულიწმიდის მადლს იღებენ, რამეთუ ღვთისშვილობას ეზიარონ და პირველნაყოფობის წინაპირობები შეასრულონ.

მე მწამს, რომ უფალი იესო ნამდვილად მოვა ისევე, როგორც ზეცად ამაღლდა და პირველნაყოფებს მკვდართაგან და ცოცხალთაგან, რომლებიც მის მოსვლას ესავდნენ და მოემზადნენ ამისთვის, თავისთან წაიყვანს; რომ ის ზეცაში ქორწილის შემდეგ მათთან ერთად დაბრუნდება დედამიწაზე, დაამყარებს მშვიდობის სამეფოს, ხოლო ისინი, როგორც სამეუფო სამღვდელოება, მასთან ერთად განაგებენ. მშვიდობის სამეფოს დასასრულს კი უკანასკნელ სამსჯავროს მოაწყობს. მერე ღმერთი ახალ ცას და ახალ მიწას შექმნის და თავის ერთან დაიმკვიდრებს.

მე მწამს, რომ საერო ხელისუფლებისადმი მორჩილება სავალდებულოა ჩემთვის იმდენად, რამდენადაც ის ღვთიურ კანონებს არ ეწინააღმდეგება.“

რა მნიშვნელობა აქვს ახალსამოციქულო მრწამსს?
ახალსამოციქულო მრწამსი ახალსამოციქულო ეკლესიის სარწმუნოებრივ მოძღვრებას გამოხატავს ათ დებულებაში. მისი ამოცანაა აგრეთვე ახალსამოციქულო ქრისტიანთა სარწმუნოებრივი პოზიციის ფორმირება.

გარდა ამისა, მრწამსი ახალსამოციქულო რწმენის ძირითადი შინაარსების სხვა ადამიანებისათვის გაცნობას უწყობს ხელს.

გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი
იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/შვეიცარია
ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა
გუტლოიტშტრასე 298, 60327 მაინის ფრანკფურტი
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ფოტო: საერთაშორისო ახ. ს. ე.

სამერთი ღმერთი

ვინ არის სამერთი ღმერთი?
ღმერთი სულიერი, სრულქმნილი, სრულიად დამოუკიდებელი არსებაა. ის მარადია, მას არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. მამა, ძე და სულიწმიდა ერთი ღმერთია. როცა ლაპარაკია „მამაზე, ძესა და სულიწმიდაზე“, ამ დროს სამი ღვთაება კი არ იგულისხმება, არამედ სამი პიროვნება, რომლებიც ერთ ღმერთს წარმოადგენენ.

ღმერთის რომელ არსებით ნიშნებს ვიცნობთ?
ადამიანებს არ შეუძლიათ, აღწერონ ღმერთი ყოვლისმომცველად. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია ღმერთის არსებითი ნიშნები: ის არის ერთი (ერთადერთი), წმიდა, ყოვლისშემძლე, მარადი, მოყვარული, მოწყალე, მართალი, სრულქმნილი. .

რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან მამა, ძე და სულიწმიდა?
მამა, ძე და სულიწმიდა სამი ღვთიური პიროვნების სახელებია. მართალია, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მაინც ერთ ღმერთს წარმოადგენენ. ქრისტიანულ ტრადიციაში სამივე ღვთიურ პიროვნებას შესაბამისად ერთი მთავარი ამოცანა მიეწერება: მამა-ღმერთი ცისა და მიწის შემოქმედია ძე-ღმერთი - მხსნელი, რომელიც კაცად იქცა და ადამიანთა გამოსახსნელად სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად; სულიწმიდა-ღმერთი ახლის შემოქმედია: ის იმაზე ზრუნავს, რომ ღვთიური ხსნა მისაწვდომი გახდეს ადამიანებისათვის და, რომ ახალმა ქმნილებამ სრულყოფას მიაღწიოს. .

რას ნიშნავს ცნება „მამა“, როცა ის ღმერთთან კავშირში გამოიყენება?
როცა ცნება „მამა“ ღმერთთან კავშირში გამოიყენება, ამას შექმნა, ავტორიტეტი და მზრუნველობა უკავშირდება. ღმერთი შემოქმედი და მისივე შემოქმედების დამცველია. ამდენად, ნებისმიერ ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ მიმართოს ღმერთს, მის შემოქმედს, როგორც „მამას“.

რას ამბობს შემოქმედება ღმერთზე?
შემოქმედება და მისი კანონზომიერებანი ღვთიურ სიბრძნეზე მოწმობს, რომლის სიდიადის წარმოდგენაც ადამიანს არ შეუძლია. გასაოცარია მეფსალმუნის ეს წამოძახილი: „ცანი ღაღდებენ ღმერთის დიდებას, და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო“ (ფსალ. 18, 2).

დროის რა პერიოდში შექმნა ღმერთმა სამყარო?
ღმერთმა სამყარო ექვს შემოქმედებით დღეში შექმნა. „შემოქმედებით დღეებში“ დროის ის პერიოდები იგულისხმება, რომელთა ხანგრძლივობაც უფრო დეტალურად არ არის განსაზღვრული. ღვთიური შემოქმედების ერთ „დღეს“ ვერ შევადარებთ ჩვენი წელთაღრიცხვის ერთ დღეს. დაბ. 2, 2-ში ნათქვამია: „და მეშვიდე დღეს დაასრულა ღმერთმა თვისი საქმე. და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი თავისი საქმისაგან, რასაც აკეთებდა.“

„... უფლისათვის ერთი დღე არის, როგორც ათასი წელი, ხოლო ათასი წელი, როგორც ერთი დღე“ (2. პეტ. 3, 8)
„რადგან ათასი წელი შენს თვალში, ვითარცა გუშინდელი დღე, რომ გადაიარა“ (ფსალ. 89, 4).

ღვთიური შემოქმედება მხოლოდ ის არის, რისი აღქმაც ადამიანს გრძნობა-გონებით შეუძლია?
არა, არსებობს კიდევ უხილავი ღვთიური შემოქმედება. მისი საიდუმლონი - როგორც თავად ღმერთი - ადამიანურ კვლევას არ ექვემდებარება. თუმცაღა წმიდა წერილი შეიცავს მითითებებს იმ სფეროების, პროცესების, მდგომარეობებისა და არსებების შესახებ, რომლებიც მატერიალური შემოქმედების ფარგლებს სცილდება.

ეშმაკიც უხილავ შემოქმედებაში შედის?
ეშმაკი თვიდან ერთ-ერთი ანგელოზთაგანი იყო. როგორც ასეთი, იგი უხილავ შემოქმედებას ეკუთვნოდა. ეს ანგელოზი აუჯანყდა ღმერთს და მისი ურჩობის, შურისა და ცბიერების გამო თვის მომხრეებთან ერთად ზეციდან და ღმერთთან თანაზიარებიდან იქნა ჩამოგდებული.

„რადგან ... ღმერთმა არ დაინდო შემცოდე ანგელოზები ... და ჯოჯოხეთში ჩაყარა ისინი“ (2. პეტ. 2, 4).
„ხოლო ანგელოზნი, რომელთაც არ დაიცვეს თავიანთი ღირსება, არამედ მიატოვეს თავიანთი სავანე, საუკუნო ბორკილებისა და წყვდიადის ქვეშ შემოინახა, რათა დიად დღეს იქნან განკითხულნი“ (იუდ. 6).

რაში მდგომარეობს ანგელოზთა ამოცანა?
ანგელოზების ამოცანას ღმერთის თაყვანისცემა, მისი დავალებების შესრულება და ამგვარად, მისი მსახურება წარმოადგენს. ღმერთის სიყვარული ადამიანების მიმართ იმაშიც ვლინდება, რომ ანგელოზებს მათდა სამსახურად აგზავნის. ის, რომ ანგელოზები განსაკუთრებით ბავშვებს მფარველობენ, შეიძლება მათ. 18, 10-დან დავასკვნათ.

„მე ვარ რაფაელი, ერთ-ერთი იმ შვიდ წმიდა ანგელოზთაგანი, რომელნიც აღავლენენ წმიდათა ლოცვებს და ამაღლდებიან წმიდის დი დების წინაშე. [...] რადგანაც ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ - ჩვენი ღვთის ნებით. ამიტომაც აკურთხეთ იგი უკუნისამდე“ (ტობ. 12, 15. 18).
„იცოდეთ, არ უგულვებელყოთ არც ერთი ამ მცირეთაგანი. გეუბნებით თქვენ, რომ მათი ანგელოზები ზეცაში სულმუდამ ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს“ (მათ. 18, 10).

თაყვანი უნდა ვცეთ ანგელოზებს?
არა, ვინაიდან ანგელოზები ყოველთვის ღვთის ნებისამებრ მოქმედებენ: ამიტომაც არც მადლობა და არც პატივის მიგება არ მიდის ანგელოზებამდე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთამდე.

ანგელოზები „ყველანი მომსახურე სულები ... არიან, მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს“ (ებრ. 1, 14).

რატომ უნდა გვაფიქრებდეს უხილავი სამყარო?
ადამიანი სულის, სამშვინველისა და სხეულის ერთიანობას წარმოადგენს (შევ. 1. თეს. 5, 23). სხეული მოკვდავია, ე. ი., ხილულ ღვთიურ შემოქმედებას განეკუთვნება. სამშვინველი და სული უკვდავია, მაშასადამე, უხილავ ღვთიურ შემოქმედებაში შედიან. რადგან სამშვინველი და სული სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ არსებობას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უხილავ სამყაროზე დავფიქრდეთ. პოზიციას, რომელსაც ადამიანი დედამიწაზე ღმერთის მიმართ იკავებს, თავისი შედეგები ექნება მის ყოფიერებაზე საიქიოში. ამის გაცნობიერებამ შეიძლება ხელი შეუწყოს იმას, რომ შევეწინააღმდეგოთ ეშმაკის ცდუნებებს და ღვთისათვის მოსაწონი ცხოვრებით ვიცხოვროთ. უხილავის მნიშვნელობას ჩვენს ცხოვრებაში პავლე მოციქული ხსნის: „ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის, როცა ვუყურებთ არა ხილულს, არამედ უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი - საუკუნო“ (2. კორ. 4, 17. 18). ამდენად, უხილავზე დაფიქრება იმის უკეთ დალაგებაში დაგვეხმარება, რაც ჩვენი წილხვედრია.

2015 წლის სექტემბერში წიგნის სახით

ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს (ახ. ს. ე. კ.) ახალი ვარიანტი სავარაუდოდ 2015 წლის 1 სექტემბერს გამოვა. სამხ. მოციქულთა სხდომამ ეს გადაწყვეტილება ახლახანს მიიღო. ეს ნაშრომი „კითხვებად და პასუხებად“ გადამუშავდა.

თარგმანები ხუთ ძირითად ენაზე უკვე მზად არის, მზად არის ასევე მაკეტიც. ამჟამად ბეჭდვითი სამუშაოებისათვის მომზადება მიმდინარეობს.

ერთობლივი სტარტი რამოდენიმე ენაზე

პრინციპში „კატეხიზმო კითხვებსა და პასუხებში“ შეიძლებოდა ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, ესპანურად და პორტუგალიურად ეტაპობრივად გამოსულიყო. მაგრამ სამხ. მოციქულთა კრებამ გადაწყვიტა, რომ ვარიანტები სხვადასხვა ენებზე ერთდროულად უნდა ჩაბარდეს. ამდენად სტარტი აღებულია სხვა ენებისთვისაც, რომლებზე თარგმანიც უკვე დასრულებულია. ამაში შედის მთელი რიგი რეგიონალური ენებისა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ეკლესიის წევრთა მესამედი ცხოვრობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

გამოყენება სასწავლო მასალად

გარდა ამისა, ეკლესიის ხელმძღვანელობისათვის მნიშვნელოვანი იყო, რომ შემუშავებულიყო ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოს ის რედაქცია, რომელიც გამორჩეულად სასწავლო მიზნებიათვის იქნებოდა გამოსადეგი. ამ მიზნით კატეხიზმოს ტექსტი დაყოფილ იქნა 750 კითხვად და პასუხად. ამის ახსნა-განმარტება გააკეთა საპროექტო ჯგუფმა „ახალსამოციქულო რწმენა“, რომელიც თითქმის ათი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ საფუძვლიან ნაშრომზე.

კითხვებისა და პასუხების სქემა უკვე საუკუნეებია, რაც ქრისტიანულ კატეხიზმოებში გამოიყენება და ახალსამოციქულო ეკლესიაშიც ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია. მასში ჩადებული დიდაქტიკური მეთოდი მრავალჯერ არის გამოცდილი. ამდენად, „ახ. ს. ე. კ. კითხვებსა და პასუხებში“ მომავალში გამოყენებულ უნდა იქნას მღვდელმსახურთა სწავლებისათვის და როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის.

მოციქულის წერილი

კიდევ მხოლოდ რამოდენიმე დღე და - საქართველოს პირველმოციქული შნაიდერი ესტუმრება!

სულ უფრო გვიახლოვდება დიდი ხნის ნანატრი საზეიმო ღვთისმსახურება პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერთან ერთად!

მას შემდეგ, რაც პირველმოციქული შაბათს, 29. 08. 2015, ვანაძორში/სომხეთი ღვთისმსახურებას ჩაატარებს, შესაძლებლობა მოგვეცემა

კვირას, 30. 08. 2015, 12:00 სთ., ავლაბრის ეკლესიაში

დავესწროთ ღვთისმსახურებას ჩვენს პირველმოციქულთან ერთად. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს თემების ყველა ერთმორწმუნე და-ძმას თბილისში ვიწვევთ. პირველმოციქულს თან ჩამოჰყვებიან სამხ. მოციქული შტორკი და შვიდი მოციქული მოლდავეთიდან, რუსეთიდან და ჩრდ.რაინ-ვესტფალიიდან.

ჩატარდა ბევრი მოსამზადებელი სამუშაო. მაშ, მოდით, ახლა მთელი გულით განვეწყოთ პირველმოციქულთან და მის თანმხლებლებთან ამ დიდებული შეხვედრისათვის.

წინასწარგულითადადმივესალმებითღვთისმსახურების ყველა მონაწილეს!

განსაკუთრებული თხოვნა იქნება, რომ ეს მოწვევა იმ ერთმორწმუნე და-ძმებსაც გადავცეთ, რომლებიც მხოლოდ იშვიათად ესწრებიან ღვთისმსახურებას ან დიდი ხანია აღარ მოსულან.

იმისათვის, რომ ღვთისმსახურების მონაწილეებმა სიწმიდისა და სიმშვიდის ატმოსფეროში შეძლონ ღვთისმსახურების განცდა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მითითებები:

- ავტობუსები რაიონებიდან ადგილზე უნდა იყვნენ არა უგვიანეს 11 საათისა;
- ყველა ადგილი ეკლესიაში კვირას დილით დაკავებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 11:30 საათისა;

ფოტო: ჩრდ.რაინ-ვესტფალიის ა.ს.ე.

პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი

- ღვთისმსახურების დაწყებამდე და ღვთისმსსახურების განმავლობაში დარბაზში ლაპარაკი არ შეიძლება;
- ეკლესიაში შემოსვლისთანავე გათიშულ უნდა იქნას მობილური ტელეფონები;
- თემის საგალობელთა ყველა ტექსტის შემცველი სპეციალური ბროშურა გაცემულ უნდა იქნას ეკლესიის დარბაზის შესასვლელში. ვთხოვთ ყველა დამსწრეს, რომ ძლიერად იმღერონ. სინანულის საგალობლის შესრულებისას თემი ზის;
- წმიდა ზიარება წესრიგის დაცვითა და დიდი მოწიწებით უნდა ჩატარდეს. საკურთხეველთან ხელი ხელზე დადებული უნდა მივიდეთ და ასევე დავბრუნდეთ ადგილებზე;
- ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, გთხოვთ, რომ ყველა მონაწილე თვის ადგილზე დარჩეს, ვიდრე პიველმოციქული და მისი თანმხლებლები ეკლესიის დარბაზს არ დატოვებენ;

მოდით, წინასწარი სიხარულით ყველამ ვილოცოთ, რომ კარგად ჩაიაროს ამ საზეიმო დღემ და, რომ პირველმოციქულის წყალობით რწმენა განგვიმტკიცდეს. დაე, ეს დღე დიდ კურთხევად იქცეს საქართველოსათვის და დაუვიწყარი სიხარული გამოიწვიოს ყველა თემში.

პროგრამა

05.07.2015 ზაარბრიუკენი (გერმანია)
12.07.2015 გომა (კონგოს დემ. რეს.)
13.07.2015 ბუკავო (კონგოს დემ. რეს.)
17.07.2015 ბანდუნდუ ვილე (კონგოს დემ. რეს.)
19.07.2015 კინშასა (კონგოს დემ. რეს.)
02.08.2015 დანცინგი (პოლონეთი)
29.08.2015 ვანაძორი (სომხეთი)
30.08.2015 თბილისი (საქართველო)
06.09.2015 ვილინგენი (გერმანია)
09.09.2015 ნოუმეა (ავსტრალია)
13.09.2015 ოკლენდი (ავსტრალია)
27.09.2015 დიუსელდორფი (გერმანია)

New Apostolic Church
International